ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის გივი გოგლიძის

2015 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებსა და ფრაქციაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:

ა. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლლიკის კომისია.

თავმჯდომარე: ლია ჯახველაძე
კომისიის შემადგენლობა: 6 წევრი

კომისიის მიზანია:

1. გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელების მინიჭება;
2. გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელის აღდენა ან შეცვლა (გადარქმევა)

სულ ჩატარდა - 12 სდომა და შესწავლილი იქნა 80 საკითხი.

ბ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარებისა, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის კომისია.

თავმჯდომარე : ლევან დარახველიძე

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი

კომისიის ძირითადი მიზანია:

1. მდგრადი ეკონომიკური განვითარების ზრდა.
2. მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შექმნა

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 5 ფურცელი
№10/18484 27.10.15

3. თბილისში არსებული საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობების დემონსტრირება, რაც ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოდინება ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში.
4. ქ. თბილისის ცნობადობის ასამაღლებლად ბიზნეს ფორუმის ჩატარება.
5. სამოქალაქო სექტორთან და ბიზნესთან თანამშრომლობით სხვადასხვა პროექტების განხორციელება
6. ქალაქის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი სექტორის მხარდაჭერა
7. ქ. თბილისის განვითარების ერთიანი სტრატეგიის შემუშავება
8. ქ. თბილისის გადაქცევა მნიშვნელოვანი საერთაშორისოშეხვედრებისა და ბიზნესის კეთების საუკეთესო ადგილად.

სულ ჩატარდა -17 სხდომა

- ვარ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება ეროვნული ფორუმის“ თავმჯდომარის მოადგილე, რომელსაც ხელმძღვანელობს ავთანდილ დავითაძე.

  ფრაქცია შედგება - 4 წევრისაგან.

როგორც ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე - ჩემი მოვალეობაა:

1. ფრაქციის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში შევასრულო მისი ფუნქციები.
2. ვასრულებ ფრაქციის თავმჯდომარის დავალებებს.
3. ფრაქციის თავმჯდომარის დავალებით ვხელმძღვანელობ ფრაქციის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს.

როგორც ფრაქციის წევრი ვალდებული ვარ:

ა. დავიცვა ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა და წესდება.

ბ. შევასრულო ფრაქციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

გ. არ განვახორციელო ფრაქციის პოლიტიკური კურსის საწინააღმდეგო ქმედება.

ფრაქციის ძირითადი მიზანია:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების განხორციელების დამოუკიდებლობა, დემოკრატიული ღირებულებების საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების ერთიანობის პრინციპების გათვალისწინება.
2. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისას კანონის უზენაესობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დაცვა.
3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჭიროებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

ჩატარდა ფრაქციის - 20 სხდომა

2015 წელს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სულ ჩატარდა საკრებულოს - 20 სხდომა

მოგახსენებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟრიტარი წევრის გივი გოგლიძის, ჩემს (ბიურო) ოფისს 2015 წელის იანვრიდან დღემდე სულ მომართა 230-მამოქალაქემ.

აქედან:

ა. 147-მა მოქალაქემ მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების დაფინანსებაზე.

დაფინანსდა -139 მოქალაქე.

ბ. ერთჯერადი ფინანსური დახმარებით დაკმაყოფილდა სოციალურად დაუცველი 6

მოქალაქე.

ჩვენმა ოფისმა მემორანდუმის ფარგლებში , რომელიც გაფორმებულია ჩვენსა და ,,ახალი სამშობიარო სახლი"-ს (დირექტორი- ზურაბ ბართაია), საქველმოქმედოკავშრი ,,მედიკი"(რომლის დირექტორი- ლეილა გაფრინდაშვილი), ასევე ცენტრალური კლინიკური კარდიოლოგიიის ინსტიტუტი (სტენოკარდიის პროგრამა)(დირექტორი ცისანა კაჭახიძე) კონსულტაციისა და კვლევებისათვის შუამდგომლობა გაუწია -30 მოქალაქეს, გარდა ამისა, სტაციონარული მკურნალობა გაიარა(სტენოკარდიის პროგრამით) 7- მა მოქალაქემ.

ამ ხნის განმავლობაშ ბიურომ ზეპირი იურიდიული კონსულტაცია გაუწია 38 მოქალაქეს. ასევე, იურიდიულად დასაბუთებული საფუძვლიანი მოტივაციით მივმართეთ თელასის ადმინისტრაციას და 5 სოციალურად დაუცველ მოქალაქეს აღუდგინეს ელექტროენერგიის მიწოდება. ასევე, შუამდგომლობით მივმართეთ ,,ყაზტრანსგაზის"-ს ადმინისტრაციას და 2

მოქალაქეს აღუდგა ბუნებრივი აირის მიწოდება.მჭიდროდ ვთანამშრომლობთ „GWP"-ს ადმინისტრაციასთან და დეპუტატის შუამდგომლობითა და მათი დახმარებით მოვაგვარეთ არაერთი პრობლემა.

მოგახსენებთ, რომ „ახალი ნაძალადევის" ტერიტორიაზე არსებობს: #10, 11 , 12, 14 სკოლები და #56-ე და 62- საბავშვო ბაღი.

სკოლები:

10-ე საჯარო სკოლა (ც.დადიანის #189) საგანმანათლებლო სივრცეში აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი წარმატებული, რომელიც დასტურდება ბევრი ინდიკატორით და მათ შორის 2012 წლის ჯილდოთი „საქართველოს წლის საუკეთესო საჯარო სკოლა"!

ასევე, გვინდა გაცნობოთ, რომ სკოლა ერთ-ერთი პირველი ახორციელებს საქართველოში იკლუზიურ განათლებას, (38 სსსმ მოსწავლეა).

დახურული სპორტული დარბაზის არქონა წარმოადგენს სკოლის სერიოზულ ნაკლოვანებას და პრობლემას, რომელიც არ იძლევა საშუალებას სპორტის დისციპლინის ჩატარებას უამინდობაში. ამის გამო ვღებულობთ:

1. სპორტის დისციპლინის ნიველირებას;
2. სსსმ მოსწავლეთა არასრულფასოვან ინკლუზიურ გარემოს;
3. მოსწავლეთა და მასწავლებელთა მხრიდან ქსელური პროექტების განხორციელების რისკებს;
4. მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ კლუბური მუშაობის შეფერხებას ;

10-ე საჯარო სკოლას ამ დროისათვის მოხდა ღია სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.

#11-ე საჯარო სკოლა (ც.დადიანის #160) აშენებულია XXსაუკუნის 30იან წლებში. აღნიშნულ სკოლაში სპორტული დაარბაზი წგრევის პირასაა .. დაზიანებულის იატაკი, ჭერიდან ცვივა ბათქაში კედლები დაბზარულია და ამის გამო სახიფათოა დარბაზით სარგებლობა.

#12-ე საჯარო სკოლის შენობა საჭიროებს სერიოზულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ასევე ეზოში არ აქვთ სპორტული მოედანი.

#14 საჯარო სკოლის (ღოღობერიძის #10) პერიმეტრი არის დაუცველი , ვინაიდან ეზოს ჯებირი არის დანგრეული. ასევე ეზოში არსებულ ხეებზე არსებობს გამგეობის თანხმობა გადაბელვის შესახებ, რაც ქმნის სკოლის სახურავის დაზიანები საშისროებას.დღეისათვის სკოლის მოსწავლეები უსაფრთხოების მიზნით გადანნაწილებული არიან სხვადასხვა სკოლებში.

ა(ა)იპ #56-ე საბავშვო ბაგა-ბაღი იყო 6 ჯგუფიანი და ირიცხებოდა 210 აღსაზრდელი, მაგრამ 2014-2015 წლებში ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები და მიემატა დამატებითი ფლიგელი ,

რამაც საშუალება მოგვცა ბავშვების რაოდენობა გაზრდილიყო 375მდე. ამ დროისათვის ბაღი მუშაობს შეფერხებისა და პრობლემების გარეშე.მოწესრიგებულია შიდა ინფრასტრუქტურა.

#62-ე ბაგა- ბაღში ამ ეტაპისათვის მოწესრიგებულია შიდა ინფრასტუქტურა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მაქვს მჭიდრო ურთიერთობა და მინდა მადლობა გადავუხადო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგეობას, კერძოდ გამგებელს ბ-ნ ზაზა გაბუნიასა და ,,ახალი ნაძალადევის"საუბნო სამსახურისხელმძღვანელს ბ-ნ ვასილ ბექაურს ერთობლივი საქმიანობისას და შეტანხმებულად მუშაობისათვის.

საერთო ძალებით მოხდა და მიმდინარეობს:

1. ქუჩებისა და სკვერების რეაბილიტაცია

   მიმდინარე - 10

   დასრულებული - 3

2. მიწისქვეშა კომუნიკაციების და სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია

   მიმდინარე - 1

   დასრულებული - 3

3. პანდუსები

   დასრულებული - 51

4. სკვერებისა და სტადიონების რეაბილიტაცია

   მიმდინარე - 0

   დასრულებული - 4 სტადიონი

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს მაჟორიტარი წევრი

გივი გოგლიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრს

ბატონ გივი გოგლიძეს

ბატონო გივი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან მოაწყონ საჯარო შეხვედრები მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. ანგარიში ძირითადად უნდა მოიცავდეს: საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას; საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაციას; ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაციას; ასევე, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას და ა.შ.

გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ ინფორმაცია ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენის ადგილის, თარიღისა და სხვა დამატებითი დეტალების შესახებ არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა, რადგან საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს შესაბამისი გრაფიკის შედგენა. საკრებულოს წევრს თავისი სურვილის შესაბამისად უფლება აქვს გამოიყენოს საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა ანგარიშის წარსადგენად. ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საჯაროდ ცხადდება საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, წარდგენიდან 10 დღის ვადაში. შესაბამისად, გთხოვთ საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდოთ შესაბამისი ანგარიში წარდგენიდან 3 დღის ვადაში წერილობითი სახით.

დანართის სახით გიგზავნით, საკრებულოს წევრის ანგარიშის ნიმუშს.

პატივისცემით,

საკრებულოს აპარატის უფროსი

ელენე დუმბაძე
ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატი
№ 10/18484
"12" ოქტომბერი 2015 წ.
ფურცლის რაოდენობა 3 ფურცელი
0105, თავისუფლების მოედანი №2

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ---

2015 წლის ანგარიში

- საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებასა და ინიცირებაზე ინფორმაცია

- ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

- სხვა სახის ინფორმაცია

საკრებულოს წევრი

(სახელი; გვარი) *(ხელმოწერა)*